საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030111651766318

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/25717 **03 / მაისი / 2018 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 24 აპრილის N01/16894 და 25 აპრილის N01/17020 წერილების პასუხად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 3 აპრილს განცხადებით (0171-08/01) მომართა შპს ,,ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციამ კომპანიაში დასაქმებულებსა და ადმინისტრაციას შორის არსებული კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის მიზნით მედიატორის დანიშვნის მოთხოვნის თაობაზე.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 აპრილის №01-76/მ ბრძანების შესაბამისად ბათუმში მივლინებულ იქნა შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე პაატა ჟორჟოლიანი, რომლის ანგარიშის თანახმადაც დამსაქმებელს შეტანილი ჰქონდა სარჩელი სასამართლოში გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ, რამაც გამოიწვია პირობების არსებითი შეცვლა. საბოლოოდ დასაქმებულების მხრიდან ჩამოყალიბდა ორი პირობა, კერძოდ:

1.დამსაქმებლის მიერ სასამართლოდან სარჩელის გამოტანა (პროფკავშირების მოთხოვნით არ შედგებოდა შეთანხმება, თუ აღნიშნული საკითხი დადებითად არ გადაწყდებოდა);

2.ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა (ორმხრივ ან სამმხრივ ფორმატში).

მიმდინარე წლის 15 აპრილს ქ. ბათუმში ჩატარდა შპს ,,ბათუმის საზღვაო ნავსადგური-ს“ ადმინისტრაციასა და ამავე კომპანიის დასაქმებულებს შორის ბოლო შეხვედრა, რომელზეც დამსაქმებელმა მოითხოვა შესვენების პერიოდი რამოდენიმე დღით, რათა მიეღო გადაწყვეტილება სასამართლოდან სარჩელის გამოტანის თაობაზე. კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცესები დროებით შეჩერებულ იქნა და მისი გაგრძელება დამოკიდებული იყო დამსაქმებლის პასუხზე.

აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით, მიმდინარე წლის 20 აპრილს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პაატა ჟორჟოლიანსა და დამსაქმებელს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, საუბრისას დამსაქმებელმა გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება სასამართლოდან სარჩელის გამოტანის თაობაზე, რომლის შემდგომაც შპს ,,ბათუმის საზღვაო ნავსადგურის'' პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ამირან მიქელაძემ უარი განაცხადა მოლაპარაკებების გაგრძელებაზე, რის საფუძველზეც მედიაცია შეწყდა.

პატივისცემით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

თამილა ბარკალაია